АО „ТЕЛАСИ“ **სს „თელასი“**

23/10/2014

TELASI 9 14 00067146

მოქ. ალექსი კარიჭაშვილს
მის: სოფ. დიღომი ,,ჩალიპირები"

თქვენი 21.10.2014 წლის #67146 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ მითითებულ მისამართზე სოფ. დიღომში ,,ჩალიპირების" მიმდებარედ გადის სს „თელასის“ კუთვნილი 110კვ–იანი ორჯაჭვა საჰაერო ელ. გადამცემი ხაზი ,,დიღომი 101, 102". საჰაერო ელ.გადამცემი ხაზის მიმდებარედ დაცული უნდა იყოს შემდეგი პირობები:

1. საჰაერო ელ. გადამცემი ხაზის განაპირა სადენიდან ორივე მხარეს 3 მეტრზე ახლო მანძილზე აკრძალულია მრავალწლიანი ნარგავების გაშენება.
2. მანძილი სეგხ–ის განაპირა სადენებიდან ორივე მხარე მაქსიმალური გადახრის შემთხვევაში საცხოვრებელი ან საზოგადოებრივი შენობის უკიდურესად გამოშვერილ ნაწილებამდე არ უნდა იყოს 4 მეტრზე ნაკლები. მშენებლობის დროს გათვალისწინებული იქნას მათი აშენება უწვადი მასალების გამოყენებით.
3. აკრძალულია ელექტრული ქსელების ხაზობრივ ნაგებობებთან 110კვ–ის ანძასთან მისასვლელი გზების ლიკვიდაცია ან ჩახერგვა, თუ არ არსებობს ალტერნატიული მისასვლელი (მისასვლელი გზა უნდა იყოს არანაკლებ 3 მეტრი სიგანის).
4. სეგხ–ის დაზიანების ან უბედური შემთხვევის თავიდან ასაცილებლად, ხაზის დაცვის ზონაში (20 მეტრი განაპირა სადენიდან ორივე მხარეს) ყველა სახის სამუშაო წერილობით შეთანხმებული უნდა იყოს სს „თელასის“ შესაბამის სამსახურთან.

სს „თელასის“ ტექნიკური
დირექტორი ვ. ქინქლაძე

შემსრულებელი: შრომის დაცვის და სახანძრო
უსაფრთხოების სამსახურის უფროსი
ტელ: 2779959 მ. ჩიღუნაძე

საქართველო, თბილისი, 0119 ვანის ქ.3
Грузия, Тбилиси 0119, ул. Ванская 3
Тел.: +995 (32) 277 99 99; Факс: +995 (32) 277 99 81
www.telasi.ge